პროლეტარიელნო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ— ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 თებერვლიდან

1975 შაბათი 10 მაისი № 109 (16235) ფასი 2 კაპ. 1975

ხალხებს, პარლამენტებსა და მთავრობებს

ოცდაათი წლის წინათ დამთავრდა მსოფლიო იტალიისაგან ყველაზე ხისლისმომლვარი, ყველაზე დამანგრეველი ომი. ამ უდიდეს ომში ფაშიზმსა და მილიტარიზმზე გამარჯვება დიდმნიშვნელოვანი მიჯნა გახდა კაცობრიობის ბედიდბალში.

თავისუფლებისმოყვარე ხალხთა მეხსიერებაში მან სამუდამოდ დატოვა ხიამაყისა და გლოვის დიდი გრძნობა.

ხიამაყისა — იმიტომ, რომ მაშინ დაემხო ძალები, რომლებსაც მონობა მოამკრნდათ მთელი ხალხებისათვის ფაშიზმის, რასიზმისა და შოვინიზმის ბავი დროშით.

გლოვისა — იმიტომ, რომ გამარჯვება წარმოუდგენლად ძვირი დაგვიჯდა, მან შეიწირა ათეულმილიონობით მამაკაცის, ქალისა და ბავშვის სიცოცხლე, გამოიწვია კოლოსალური ნგრევა, გააჩანაგა ბევრი სახელმწიფო.

ზარალის მასშტაბები უზარმაზარია, მსხვერპლის ხიმოძმე უზომოა. მაგრამ მსხვერპლი ამაო როდი იყო.

ჯარისკაცები ყველა კონტინენტიდან, რომლებიც ჰიტლერული გერმანიისა და მილიტარისტული იაპონიის არმიებს ებრძოდნენ, პარტიზანები, წინააღმდეგობის მებრძოლები, იატაკქვეშელი ანტიფაშისტები, ადამიანები, რომლებიც გამარჯვებას ხვდნენ ზურგში, — ისინი არ ზოგავდნენ სიცოცხლეს ბრძოლებში და თავს სწირავდნენ ხამშობლის, თავიანთი იდეალების, თავიანთი ხახლის, თავიანთი ოჯახის დასაცავად. მათ უნდოდათ სამუდამოდ მოესპოთ ფაშიზმი და მილიტარიზმი, სამუდამოდ ეხსნათ კაცობრიობა ომის საშინელებათაგან. ისინი. მიდიოდნენ დიდ ბრძოლაში მტკიცე, ხამართლიანი და დემოკრატიული მშვიდობის მოპოვებაზე ოცნებითა და იმედით. და მათმა გმირულმა საქმეებმა ნაყოფი გამოიღო, უზარმაზარი ცვლილებანი გამოიწვია. მოხდა უდიდესი მნიშვნელობის სოციალური და პოლიტიკური ძვრები, და ისტორიაში პირველად შეიქმნა კაცობრიობის ცხოვრებიდან მსოფლიო ომის გამორიცხვის ობიექტური შესაძლებლობა.

მეორე მსოფლიო ომის დამთავრების ოცდამეათე წლისთავი განსაკუთრებული წლისთავია. მას აღენიშნავენ ახალ, უფრო ხელსაყრელ ვითარებაში. ევროპა და მთლიანად მსოფლიო რეალურად მიუახლოვდნენ იმ მაღალ მიზნის განხორციელებას, რომელსაც ესწრაფოდნენ ანტიჰიტლერული კოალიციის ხალხები. ხახელმწიფოთა შორის ურთიერთობაში ხულ უფრო მეტად მკვიდრდება თანასწორუფლებიანობის, ხუვერენიტეტის, ძალის გამოყენების უარყოფის პრინციპები.

ამის გზა ადვილი როდი გამოდგა. მთელი ოცდაათი წლის განმავლობაში ძნელი და შეუპოვარი ბრძოლა მიმდინარეობდა. იგი დღესაც არ დამთავრებულა.

„ცივმა ომმა“ ათეული წლებით დააყოვნა მშვიდობის შენობის აგება. აგრესიულ, რეაქციული წრეები ცდილობდნენ მსოფლიოსათვის ძალის პოზიციიდან მოეხვიათ თავს ისეთი წესწყობილება, რომელიც ძირფესვიანად წინააღმდეგი იქნებოდა ხალხთა ინტერესებისა და სოციალური პროგრესისა. ამან გამოიწვია არნახული გამალებული შეიარაღება უახლეს მეცნიერულ მიღწევათა გამოყენებით და არაერთხელ მიიყვანა მსოფლიო ახალი სამხედრო კატასტროფის ზღვართან.

ჩვენ უფლება არა გვაქვს დავივიწყოთ ისიც, რომ განვლილი ოცდაათი წლის მანძილზე ხან ერთი, ხან მეორე ქვეყანა, ზოგჯერ კი მსოფლიოს მთელი რაიონები სისხლით ირწყვებოდა, ხდებოდა ახალრნი ხომარი მოქმედებანი, რომელიც მილიონობით სიცოცხლეს იწირავდა. არაბული და სხვა ქვეყნების ხალხები დღესაც იძულებული არიან თავდაუზოგავად ებრძოლონ რეაქციულ ძალებს, ხშირად იარაღით ხელში, რათა შესაძლებლობა ჰქონდეთ თვითონ განსაზღვრავდნენ განვითარების გზას სამართლიანი მშვიდობის, დამოუკიდებლობისა და თავისუფლების პირობებში.

მაგრამ სოციალისტური ხახელმწიფოებისა და ყველა იმათი მეცადინეობით, ვისთვისაც ძვირფასია მშვიდობა და ვინც აქტიურად იბრძოდა მისთვის, მეორე მსოფლიო ომის შემდეგ მომაკვდინებელი რაკეტულ-ატომური იარაღი არ ყოფილა გამოყენებული. ამაში დიდმნიშვნელოვანი როლი შეასრულეს დასავლეთის რეალისტურად მოაზროვნე პოლიტიკურმა წრეებმაც.

დიადი გამარჯვების ოცდამეათე წლისთავის დღეს ხაბჭოთა ხალხი, კომუნისტური პარტია, სსრ კავშირის უმაღლესი ხაბჭო და ხაბჭოთა მთავრობა მოუწოდებენ მსოფლიოს ხალხებს, ყველა ქვეყნის პარლამენტებსა და მთავრობებს სამუდამოდ ნოულონ ბოლო „ცივი ომის“ ხაშიშ პოლიტიკას, შეწყვეტონ ჩარევა სხვა ხალხებისა და ხახელმწიფოების ხაშინაო საქმეებში, წარმართონ ღონისძიებანი კაცობრიობის მშვიდობიანი მომავლის რწმენის ატმოსფეროს შესაქმნელად, ქვეყნად მტკიცე და ხანგრძლივი მშვიდობის უზრუნველყოფად.

აი უკვე სამი ათეული წელია კაცობრიობას არ განუცდია მსოფლიო ომი. ეს მშვიდობისმოყვარე ძალების დიდი მონაპოვარია, რომლის მნიშვნელობა სულ უფრო ღრმად ეუფლება ხალხთა შეგნებას.

მშვიდობის განმტკიცებისათვის არასოდეს არ გაკეთებულა იმდენი რამ, რამდენიც ბოლო წლებში გაკეთდა.

სოციალისტურ ხახელმწიფოთა თანმიმდევრული ხამშვიდობო პოლიტიკის, ყველა ქვეყნის დემოკრატიული ძალების აქტიური მოქმედების, აგრეთვე იმ მთავრობათა რეალისტური პოზიციის შედეგად, რომლებმაც „ცივი ომის“ განგრძობის ხაფრთხე შეიგნეს, ვითარება საერთაშორისო ასპარეზზე ძირფესვიანად შეიცვალა.

დიდი ისტორიული შეთანხმებანი, რომლებიც განსაზღვრავენ საერთაშორისო დაძაბულობის შენელების პროცესს. განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს მსოფლიოს ორი უდიდესი ხახელმწიფოს — სსრ კავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების შეთანხმებებს ატომური ომის თავიდან აცილებისა და სტრატეგიული შეიარაღების შეზღუდვის შესახებ. მოქმედებენ სსრ კავშირისა და საფრანგეთის, სსრ კავშირისა და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის, სხვა სოციალისტური ქვეყნებისა და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ხელშეკრულებანი და შეთანხმებანი, ოთხმხრივი შეთანხმება დასავლეთ ბერლინის შესახებ. გადაიდგა პირველი ნაბიჯები გამალებული შეიარაღების შეზღუდვის გზაზე. ეძებენ საერთაშორისო კონფლიქტების მშვიდობიანი ხაშუალებებით მოწესრიგების გზებს.

ხხვადასხვა სოციალური წყობილების ხახელმწიფოთა ურთიერთობაში ხულ უფრო საფუძვლიანად მკვიდრდება ისეთი ელემენტები, როგორიც არის ხაზღვრების ურღვევობის ცნობა, ხადავო საკითხების გადაწყვეტა მოლაპარაკების მაგიდასთან, რეგულარული კონსულტაციები. ხანგრძლივი ეკონომიური თანამშრომლობა, მეცნიერებისა და კულტურის მიღწევათა გაცვლა.

მალე დამთავრდება ხახელმწიფოთა ხრულიად ევროპის თათბირი — უპრეცედენტო ისტორიული მოვლენა კონტინენტზე, რომელიც იყო ორი მსოფლიო ომის მთავარი ასპარეზი და — ხაუკუნეთა მანძილზე — ყველაზე ხაშიშ საერთაშორისო წინააღმდეგობათა კვანძი. ამ თათბრის წარმატება, მისი რეკომენდაციების განხორციელება დახახავს ახალ ეტაპს ევროპის ცხოვრებაში, მოახწევებს მშვიდობის იდეალებისა და გონიერების გამარჯვებას. ეს კი, თავის მხრივ, ხახიკეთო გავლენას მოახდენს მთელ მსოფლიოში საერთაშორისო ურთიერთობის განვითარებაზე.

დედამიწაზე ძირითადად ბოლო მოეღო პირდაპირ კოლონიურ ბატონობას, რომელიც მწვავე დაძაბულობის მუდმივი წყარო და ჩაგრულ ხალხთა შეიარაღებული ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის კანონიერი მიზეზი იყო. დაიშალა უკანასკნელი კოლონიური იმპერია — პორტუგალიის იმპერია.

ყველა ეს უმნიშვნელოვანესი ძვრა ხალხთა მშვიდობისა და პროგრესისადმი მიმართულების განხახიერებაა. ისინი ამტკიცებენ, რომ ხახელმწიფოთა შორის ომების თავიდან აცილება უტოპია კი არა, რეალური პერსპექტივა და ხავსებით მისაღწევი მიზანია. დაიწყო მშვიდობიანი თანაარსებობის პრინციპების საფუძველზე საერთაშორისო ურთიერთობის სისტემის ღრმა გარდაქმნა. იგი შეიძლება და კიდევაც უნდა განვაგრძოთ და დავამთავროთ. ამას მოითხოვს დაღუპულთა ხსოვნაც და ცოცხლების საარსებო ინტერესებიც.

თანამედროვე ეპოქაში მშვიდობა კაცობრიობის სოციალური პროგრესის, ხალხთა იმ ხუვერენულ უფლების უზრუნველყოფის საკირო პირობაა, რომ იცხოვრონ ისე, როგორც მათ ხურთ. ომის შემდგომი ხამი ათწლეულის მანძილზე მთელი განვითარება ამის უტყუარი დადასტურებაა.

მშვიდობის პირობებში თანამედროვე მეცნიერული და ტექნიკური ცოდნის გიგანტური ზრდა და მასთან დაკავშირებული ხაწარმოო ძალების ძლავრი განვითარება ხაშუალებას გვაძლევს გარდვქმნათ ადამიანთა მატერიალური კულტურა და ყოფაცხოვრება. მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის მონაპოვრები უზრუნველყოფენ ქვეყნად ცხოვრების პირობების ძირეულ გაუმჯობესებას, შიმშილის, სიღატაკის, მახობრივ ავადმყოფობათა მოსპობას. ამავე დროს განვლილი

(დასასრული მე-2 გვ.).

გვირგვინებით შეამკეს ვ. ი. ლენინის მავზოლეუმი და უცნობი ჯარისკაცის ხაფლავი

9 მაისს, დიდ სამამულო ომში ხაბჭოთა ხალხის გამარჯვების 30-ე წლისთავის დღესასწაულის დღეს, ხაბჭოთა მთავრობის ხელმძღვანელები მივიდნენ ვ. ი. ლენინის მავზოლეუმში და გვირგვინებით შეამკეს ხკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის უმაღლესი ხაბჭოს პრეზიდიუმისა და სსრ კავშირის მინისტრთა ხაბჭოს ხახელით.

კომუნისტური პარტიის დამაარსებლის, მსოფლიოში პირველი სოციალისტური ხახელმწიფოს შემქმნელის — ვლადიმერ ილიას-ძე ლენინის ხახელთან დაკავშირებულია ხაბჭოთა ხალხის მთელი მიღწევები. ლენინის დროიდან იბრძოდნენ ხაბჭოთა ადამიანები ხამშობლოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის, გამარჯვება მოიპოვეს დიდ სამამულო ომში.

კომუნისტური პარტიისა და ხაბჭოთა ხახელმწიფოს ხელმძღვანელები გაემართნენ უცნობი ჯარისკაცის ხაფლავისაკენ კრემლის კედელთან. აქ ჩამწკრივდნენ მოსკოვის გარნიზონის ნაწილები. მარადიულ ცეცხლთან, გარნიტის ფილაზე ამოკვეთილია სიტყვები: „ხახელი შენი უცნობია, გმირობა შენი უკვდავია“. გმირი ჯარისკაბის ობელისკებთან დგას ხაბჭოთა მეომრების ხაპატიო ყარაული. დახრილია ხაბრძოლო დროშები.

კომუნისტური პარტიისა და ხაბჭოთა ხახელმწიფოს ხელმძღვანელნი მიდიან უცნობი ჯარისკაცის ხაფლავთან, ხახიერმო-ხამგოლიანრო მელოდიის ხმაზე გვირგვინებით ამკობენ მას. ალიხფერ ლენტზე წარწერილია: „ხოციალისტური ხამშობლოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის ბრძოლებში დაღუპულთ. ხკკპ ცენტრალური კომიტეტისაგან, სსრ კავშირის უმაღლესი ხაბჭოს პრეზიდიუმისა და სსრ კავშირის მინისტრთა ხაბჭოსაგან“.

ამხანაგებმა ლ. ი. ბრეჟნევმა, ნ. ვ. პოდგორნიმ, ა. ა. გრეჩკომ, ვ. ვ. გრიშინმა, ა. ა. გრომიკომ, ა. ა. კოსიგინმა, ფ. დ. კულაკოვმა, ა. ი. პელშემ, ნ. ვ. პოდგორნიმ, დ. ხ. პოლიანსკიმ, მ. ა. ხუსლოვმა, პ. ნ. დემიჩევმა, ბ. ნ. პონომარიოვმა, მ. ს. სოლომენცევმა, ვ. ი. დოლგიხმა, ი. ვ. კაპიტონოვმა, კ. თ. კატუშევმა წუთიერი დუმილით პატივი სცეს მეომრების ხსოვნას, რომლებმაც სიცოცხლე გასწირეს ფაშისტი დამპყრობლების წინააღმდეგ ბრძოლაში.

ხაბჭოთა ხელმძღვანელებთან ერთად ვ. ი. ლენინის მავზოლეუმი და უცნობი ჯარისკაცის ხაფლავი გვირგვინებით შეამკეს ხკკპ ცენტრალური ხარეგანო კომისიის თავმჯდომარემ გ. თ. ხიზოვმა, სსრ კავშირის მინისტრთა ხაბჭოს თავმჯდომარის მოადგილეებმა ნ. კ. ბაიბაკოვმა, ვ. ვ. დიმიტროვმა, ვ. ა. კირილინმა, მ. ა. ლესეჩკომ, ვ. ნ. ნოვიკოვმა, ე. ტ. ხოვიკოვმა, ზ. ნ. ხოტოიევმა, ლ. ვ. ხმირნოვმა, ნ. ა. ტიხონოვმა; სსრ კავშირის უმაღლესი ხაბჭოს პრეზიდიუმის მდივანმა მ. პ. გიორგაძემ, სსრ კავშირის უმაღლესი ხაბჭოს კავშირის ხაბჭოს თავმჯდომარემ ა. პ. შიტიკოვმა, სსრ კავშირის უმაღლესი ხაბჭოს ეროვნებათა ხაბჭოს თავმჯდომარემ ვ. პ. რუბენმა, რუსეთის სფსრ უმაღლესი ხაბჭოს პრეზიდიუმის წევრებმა, რუსეთის სფსრ მინისტრთა ხაბჭოს პრეზიდიუმის წევრებმა, ხაბჭოთა მთავრობის ხელმძღვანელებმა.

ვ. ი. ლენინის მავზოლეუმი და უცნობი ჯარისკაცის ხაფლავი გვირგვინებით შეამკეს რუსეთის სფსრ უმაღლესი ხაბჭოს პრეზიდიუმისა და მინისტრთა ხაბჭოს, სსრ კავშირის შეიარაღებული ძალების მეომრების, მოსკოვისა და მისი ოლქის მშრომელთა ხახელით.

ხამგზის დაიჭუხა თოფის ხალუტმა. ქალაქ ხაბჭოთა კავშირის ჰიმნი. დიდ სამამულო ომში დაღუპულ გმირთა ხსოვნის მხედრული პატივისცემის ნიშნად უცნობი ჯარისკაცის ხაფლავთან ხაზეიმო მარშით ჩაიარეს სსრ კავშირის შეიარაღებული ძალების ყველა ხახეობის ჯარების ნაწილებმა. (ხაკდესი).

გუშინ, მოსკოვში



მოსკოვი. 9 მაისს — დიდ სამამულო ომში ხაბჭოთა ხალხის გამარჯვების 30-ე წლისთავის დღესასწაულის დღეს მთავრობის ხელმძღვანელები მივიდნენ ვ. ი. ლენინის მავზოლეუმში და გვირგვინებით შეამკეს ხკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის უმაღლესი ხაბჭოს პრეზიდიუმისა. და სსრ კავშირის მინისტრთა ხაბჭოს ხახელით (სურათზე ზემოთ): კომუნისტური პარტიისა და ხაბჭოთა ხახელმწიფოს ხელმძღვანელები გვირგვინებით ამკობენ უცნობი ჯარისკაცის ხაფლავს კრემლის კედელთან. (სურათზე ქვემოთ).

ხაკდესი-ხაქინფორმი ტელეფოტო.

ხაბჭოთა ხელმძღვანელების შეხვედრა

ხოციალისტური ქვეყნების დელეგაციათა მეთაურებთან

9 მაისს დიდ სამამულო ომში ხაბჭოთა ხალხის გამარჯვების 30 წლისთავის გამო კრემლში გამართულ რაბაზობაზე ამხანაგები **ლ. ი. ბრეჟნევი, ნ. ვ. პოდგორნი, ა. ნ. კოსიგინი, მ. ა. ხუსლოვი, ა. ა. გრომიკო** შეხვედნენ ხოციალისტური ქვეყნების პარტიათა და მთავრობათა დელეგაციების მეთაურებს: ბულგარეთის ხახალხო რესპუბლიკისა — **პენჩო კუბადინსკის**, უნგრეთის ხახალხო რესპუბლიკისა — **იშტვან შარლოშს**, ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკისა — **ნგუენ ზუი ჩინს**, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკისა — **გიუნტერ მიტაგს**, კორეის ხახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკისა — **სო ჩერს**, კუბის რესპუბლიკისა — **არმანდო ხარტ დავალოსს**, მონგოლეთის ხახალხო რესპუბლიკისა — **ყამბინ ბატმუნპს**, პოლონეთის ხახალხო რესპუბლიკისა — **ვლადისლავ გომულკას**, რუმინეთის ხოციალისტური რესპუბლიკისა — **პაულ ნიკულეს-კუ-მიჩილს**, ჩეხოსლოვაკიის ხოციალისტური რესპუბლიკისა — **ოლეგ კემპნის**, იუგოსლავიის ხოციალისტური ფედერაციული რესპუბლიკისა — **ლაზარ კოლიშევსკის**.

დელეგაციათა მეთაურებმა ხაბჭოთა ხელმძღვანელებსა და მთელ ხაბჭოთა ხალხს გულთბილად მიულოცეს დიდი გამარჯვების დღესასწაული.

თავის მხრივ ხაბჭოთა ხელმძღვანელები მიესალმნენ და მიულოცეს მოძმე პარტიებისა და ხახელმწიფოების ხელმძღვანელებს, ხოციალისტური ქვეყნების ხალხებს. (ხაკდესი).

დიდი ბრიტანეთის, ამერიკის შეერთებული შტატების, საფრანგეთის დელეგაციათა მეთაურებთან

9 მაისს კრემლში ამხანაგები **ლ. ი. ბრეჟნევი, ნ. ვ. პოდგორნი, ა. ნ. კოსიგინი, მ. ა. ხუსლოვი, ა. ა. გრომიკო** შეხვედნენ დიდ სამამულო ომში ხაბჭოთა ხალხის გამარჯვების 30 წლისთავის დღესასწაულზე ჩამოსული ანტიჰიტლერული კოალიციის მონაწილე ქვეყნების დელეგაციათა მეთაურებს: დიდი ბრიტანეთისა — **ლორდ მაუნტბეტენს**, ამერიკის შეერთებული შტატებისა — **ა. ჰარიმანს**, საფრანგეთისა — **გენერალ პ. ბიიოტს**.

დელეგაციათა მეთაურებმა ხაბჭოთა ხელმძღვანელებს მიულოცეს გამარჯვების დღესასწაული და მადლობა გადაუხადეს დიდი ბრიტანეთის, ამერიკის, შეერთებული შტატებისა და საფრანგეთის წარმომადგენლებს გამარჯვების ხეებში მონაწილეობისათვის და თავის მხრივ მიესალმნენ და მიულოცეს დიდოფალ ელისაბედ მეორეს და პრემიერ-მინისტრ ჰ. ვილსონს, პრეზიდენტ ჟ. ფორდს, პრეზიდენტ ვ. ჟისკარ დ'ესტენს.

(ხაკდესი).

დარბაზობა კრემლის ყრილობათა ხასახლეში

ხაკპ ცენტრალურმა კომიტეტმა, სსრ კავშირის უმაღლესი ხაბჭოს პრეზიდიუმმა და სსრ კავშირის მინისტრთა ხაბჭომ 9 მაისს კრემლის ყრილობათა ხასახლეში დარბაზობა გაართეს დიდ სამამულო ომში ხაბჭოთა ხალხის გამარჯვების 30-ე წლისთავის დღესასწაულის გამო.

დარბაზობაზე იყვნენ ამხანაგები **ლ. ი. ბრეჟნევი, ი. ვ. ანდროპოვი, ა. ა. გრეჩკო, ვ. ვ. გრიშინი, ა. ა. გრომიკო, ა. პ. კირილენკო, ა. ნ. კოსიგინი, ფ. დ. კულაკოვი, ა. ი. პელშე, ნ. ვ. პოდგორნი, დ. ხ. პოლიანსკი, მ. ა. ხუსლოვი, პ. ნ. დემიჩევი, ბ. ნ. პონომარიოვი, მ. ს. სოლომენცევი, ვ. ი. დოლგიხი, ი. ვ. კაპიტონოვი, კ. თ. კატუშევი**, ხკკპ ცენტრალური კომიტეტის წევრები, პარტიის ვეტერანები, **თვალსაჩინო** მზედარმთავრები, დიდი სამამულო ომისა და შრომის ვეტერანები, ხაბჭოთა კავშირის გმირები, ხოციალისტური შრომის გმირები, დიდების ორდენის სრული კავალრები, მეცხიერებისა და კულტურის მოღვაწენი. ხაბჭოთა ხაზოგადოებრიობის წარმომადგენლები, ქვეყნის მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის მოწინავენი.

დარბაზობაზე იყვნენ ხოციალისტური ქვეყნების პარტიათა და მთავრობათა დელეგაციების, ანტიჰიტლერული კოალიციის ქვეყნების დელეგაციის წევრები, სამხედრო დელეგაციები, სხვა ხაზღვარგარეთელი სტუმრები. აქვე იყვნენ სსრ კავშირში აკრედიტებული დიპლომატიურ წარმომადგენლობათა მეთაურები.

დარბაზობაზე სტუმარ წარმორქვა ხკკ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრმა, სსრ კავშირის უმაღლესი ხაბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ **ნ. ვ. პოდგორნიმ.**

ამხანაგ ნ. ვ. პოდგორნის სიტყვა

ძვირფასო ამხანაგებო და მეგობრებო!

პატივცემულო ხაზღვარგარეთელ სტუმრებო!

ხკკ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის უმაღლესი ხაბჭოს პრეზიდიუმისა და მინისტრთა ხაბჭოს დავალებით გულითადად გიღოცავთ დიდ დღესასწაულს — ფაშიზმზე გამარჯვების 30-ე წლისთავს.

ეს ღირსსახსოვარი იუბილე ყველა ქვეყანაში და ყველა კონტინენტზე აღინიშნება. პროგრესული კაცობრიობა დიდი მადლიერებით ჯეროვანად აფასებს

ხალხებს, პარლამენტებსა და მთავრობებს

(ლენინგრადიდან)

30 წლის მანძილზე უდიდესმა სოციალურმა ცვლილებებმა და გარდაქმნებმა თვალწინაშეაგეს, ნაბიჯ-ნაბიჯ ქვეყნის მაგალითით გვიჩვენა, რომ შეიძლება ავლაგმოთ ანტიპუმანური რეაქციული ძალები და ამ საუფლელზე თავიდან ავიცილოთ მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის ნეგატიური შედეგები.

მეორე მსოფლიო ომის დამთავრების შემდეგ უდიდესი მიღწევები მოიპოვა ბევრმა ხალხმა, მაგრამ ასინი გაცილებით უფრო მეტი იქნებოდა, რომ ამ პერიოდში საკვლელისა და ნგრევის საარაღების წარმოებისათვის დახარჯული კოლოსალური სახსრები, უნარი და ენერგია მოხმარებოდა ალმშენებლობის მიზნებს.

მიუხედავად ამისა კვლავ მოქმედებენ ბოროტ-ნაინი ძალები, რომლებიც ჯიუტად ცდილობენ შეაჩერონ წინსვლა მტკიცე მშვიდობის გზით. უკვე დადგენილია მშვიდობიანი დროისათვის არნახული რაოდენობის იარაღი, მათ შორის რაკეტულ-ატომური. გამალებული შეიარაღება გრძელდება, ყოველდღე ეს დიდ, საფუძვლიან შეშფოთებას იწვევს, მოითხოვს ღონისძიებათა გაძლიერებას მშვიდობისათვის, გამალებული შეიარაღების შეწყვეტისა და განიარაღებისათვის, ომისათვის ბრძოლაში, რომ ბოლო მოვუღოთ ომისათვის მატერიალურ მზადებას.

ხალხთა ხალხი, ხალხთა ხალხელმწიფო, რომლებმაც ზიდეს ფაშიზმთან შეტაკების ძირითადი ხიმძიმე, კვლავ აცსადებენ, რომ მტკიცედ აქვთ გადაწყვეტილი ყველაფერი იღონონ, რათა სხვა ხალხებთან და ხალხელმწიფოებთან ერთად გამორიცხონ ომი კაცობრიობის ცხოვრებიდან.

გამოვხატავთ რა ყველა ხალხთა ადამიანის ნებასა და მზნებრივ მისწრაფებას, შევეცდებით მივაღწიოთ:

— საერთაშორისო ურთიერთობის პრაქტიკაში ბოლოსახსა სოციალური წყობილების ხალხელმწიფოთა მშვიდობიანი თანაარსებობის პრინციპების ბოლოდ და ყოველმხრივ დამკვიდრებას;

— საერთაშორისო დაძაბულობის შენელების პროცესის შეუქცევადობის უზრუნველყოფას;

— ყველა ხახეობისა და ტიპის ხაგუურველთა გამალებული შეიარაღების შეზღუდვასა და შეწყვეტას, განუხრელ წინსვლას ხაყოველთაო და სრული განიარაღებისაკენ;

— ომის ხაფრთხის არსებული კერების ლიკვიდაციას თვითეული ხალხის დამოუკიდებლობისა და თანაბარი უშიშროების უფლების აუცილებელი ცნობისა და პატივისცემის პირობებში;

— ხახელმწიფოთა უშიშროებასა და თანასწორუფლებიანი თანამშრომლობის რეგიონალური და ხაყოველთაო სისტემების შექმნას;

— ეკონომიკის, მეცნიერების, ტექნიკისა და კულტურის დარგში ხელსაყრელი კავშირურთიერთობის ყოველნაირ განვითარებას ამ პირობით, რომ უზრუნველყოფილ იქნას თვითეული ქვეყნის უფლება განაგებდეს თავის ბუნებრივ რესურსებს, იცავდეს თავის კანონებსა და წეს-ჩვეულებებს;

— მშვიდობიან პოლიტიკაში ყველა ქვეყნისა და ხალხის ეფექტიანი და თანასწორუფლებიანი მონაწილეობის რეალური გარანტიების უზრუნველყოფას; ნეოკოლონიალიზმისა და ამა თუ იმ ქვეყნის ყოველგვარი ფორმის დისკრიმინაციის აღმოფხვრას;

— ისეთი ხაერთაშორისო კლიმატის შექმნას, რომლის დროსაც პოტენციურ აგრესორებს, ავანტიურებისა და სხვათა დაშინების მოყვარულებს ყველგან მტკიცე პასუხს გასცემენ და რომლის დროსაც უშიშროება და მშვიდობიანი მომავლის რწმენა ნამდვილად გახდება ყველა ქვეყნისა და ხალხის კუთვნილება.

250 მილიონი საბჭოთა ადამიანის ხახელით მივუწოდებთ ყველას, ვინაცვალებაც ძვირფასია პლანეტის მომავალი: ყველაფერი ვიღონოთ, რათა ეგი მშვიდობიანი იყოს.

მტკიცე მშვიდობა, ხალხთა თავისუფლება ომში დალუპულთა ყველაზე ღირსეული ძეგლია.

მტკიცე მშვიდობა, ხალხთა თავისუფლება უმჯობესი იდეალია, რომელიც შთაგონებდა ფაშიზმის წინააღმდეგ ბრძოლის გმირებს და რომელიც შთაგვაგონებს ჩვენ. მაშ ყველაფერი ვიღონოთ, რათა ეს იდეალი კაცობრიობის ცხოვრების გარდუვალი კანონი გახდეს.

ამას მოვუწოდებთ ყველა ხალხს, პარლამენტებსა და მთავრობებს და პირველ რიგში უშუალოდ და ოფიციალურად ამათ, ვინც აღჭურვილია ნდობით წარმომადგენლობეს თავის ხახელმწიფოებსა და თავისი ქვეყნების ხაზოგადოებრიობას საერთაშორისო ასპარეზზე. იმედი გვაქვს, რომ ისინი ჯეროვნად გამოეხმაურებიან ამ დიდმნიშვნელოვან პრობლემას და მოვუწოდებთ აქტიურად ამოქმედონ მტკიცე და ხიმედო მშვიდობის საკეთილდღეოდ.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი

საბჭოთა კავშირის მთავრობა

მოსკოვის ახალგაზრდობის მანიფესტაცია. ხაბჭოთა ხალხების ტალანტი.

ა. ნ. კოსიგინის საუბარი ა. ჰარიმანთან

9 მაისს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ა. ნ. კოსიგინმა კრემლში მიიღო თვალსაჩინო ამერიკელი პოლიტიკური და სახელმწიფო მოღვაწე ა. ჰარიმანი, რომელიც ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის პირად წარმომადგენლად ჩამოვიდა მეორე მსოფლიო ომში მტერზე გერმანიის გამარჯვების 30-ე წლისთავის ღონისძიებებზე.

საუბრის დროს, რომელიც მეგობრულ ვითარებაში მიმდინარეობდა, აღინიშნა, რომ სსრ კავშირსა და ამერიკის შეერთებულ შტატებს — ანტიჰიტლერულ კოალიციაში მოკავშირეების — ერთობლივი ბრძოლა ორი ქვეყნის ეფექტიანი პოლიტიკური და სამხედრო თანამშრომლობის დამყარებელ მაგალითია.

ა. ჰარიმანმა განაცხადა, რომ რომ ორივე ქვეყნის ხალხებისათვის, მშვიდობის განმტკიცებისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს საბჭოთა კავშირ-ამერიკის ურთიერთობის გაუმჯობესებას, რაც ამჟამად ხდება.

ა. ჰარიმანმა განაცხადა, რომ ამერიკის მხარე ეთანხმება ამ აზრს და მოიწონა ამერიკის შეერთებული შტატებისა და სსრ კავშირის ურთიერთობის შემდგომი და ყოველმხრივი განვითარება.

(საკენსტ).

ნ. ვ. პოდგორნიმ მიიღო საფრანგეთის დელეგაციის მეთაური

9 მაისს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ნ. ვ. პოდგორნიმ კრემლში მიიღო საფრანგეთის პრეზიდენტის პირადი წარმომადგენელი გენერალი პიერ ბიოტი. იგი მეთიეროს საფრანგეთის რესპუბლიკის დელეგაციას, რომელიც სსრ კავშირში ჩამოვიდა დიდ სამამულო ომში საბჭოთა ხალხის გამარჯვების 30 წლისთავის ღონისძიებებში მონაწილეობის მისაღებად.

საუბრისას, რომელმაც მეგობრულ ვითარებაში ჩაიარა, აღინიშნა მეორე მსოფლიო ომის წლებში საბჭოთა კავშირისა და საფრანგეთის საბრძოლო თანამეგობრობის როლი, ხაზი გაუსვეს იგრეთვე ორი ქვეყნის ტრადიციული მეგობრობისა და თანამშრომლობის დიდ მნიშვნელობას დაძაბულობის შენელების გაღრმავებისა და საერთაშორისო შშვიდობის განმტკიცებისათვის.

საუბარს ესწრებოდა საფრანგეთის ელჩი საბჭოთა კავშირში �y ვიმონი. (საკენსი).

გულითადი მილოცვები

ამხანაგებმა ლ. ი. ბრეჟნევმა, ნ. ვ. პოდგორნიმ, ა. ნ. კოსიგინმა უკრაინის სოციალისტური ფედერაციული რესპუბლიკის პრეზიდენტს, უკრაინის კომუნისტთა კავშირის თავმჯდომარეს ამხანაგ ნიკიტა ბორის ტიტოს გაუგზავნეს მისალოცი დეპეშა ლიბერალინშაფი თარიღის — ფაშიზმზე გამარჯვებისა და უკრაინის განთავისუფლების 30 წლისთავის გამო.

ამხანაგებმა ლ. ი. ბრეჟნევმა, ნ. ვ. პოდგორნიმ, ა. ნ. კოსიგინმა ბელორუსიის სოციალისტური რესპუბლიკის პრეზიდენტს ამხანაგ ლუდვიგ სეგობოდას, ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივანს ამხანაგ ანტონინ ნოვოტნეს, ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის ხელმძღვანელ ვალკო ჩერვენკოვს, ალბანეთის სახალხო რესპუბლიკის ენვერ ხოჯას, ჩეხოსლოვაკიის ეროვნული ფრონტის ცენტრალური კომიტეტის ანტონინ ზაპოტოცკის, ბულგარეთის სამეგობრო ფრონტის ცენტრალური კომიტეტის ანტონ იუგოვს, ალბანეთის ეროვნული ფრონტის ცენტრალური კომიტეტის ენვერ ბალეს, ბულგარეთის ეროვნული ფრონტის ცენტრალური კომიტეტის ანტონ ბოიან

სახელი შენი უკვდავებაა

უცნობი ჯარისკაცის დაკრძალვა გამარჯვების პარკში

„არ ხარ უცნობი,
სახელი შენი
უკვდავებაა
აწ და მარადის!“

9 მაისს, დიდ სამამულო ომში საბჭოთა ხალხის გამარჯვების 30-ე წლისთავის საყოველთაო-სახალხო ზეიმზე, თბილისში გაიმართა კავკასიის გმირული დაცვის დღეებში სამშობლოს თავისუფლებისათვის დაღუპული უცნობი ჯარისკაცის ნეშტის დაკრძალვის საზეიმო-სამგლოვიარო ცერემონია.

უცნობი ჯარისკაცის ნეშტი ჩამოასვენეს გმირ ქალაქ ქერჩიდან, სადაც დაკრძალული იყო ოკუპაციის მაიონის ქვის სამტეხლოებში გათხრილ ერთ-ერთ ძმათა სასაფლაოზე. უცნობი გმირის ნეშტი თბილისში ჩამოასვენა საბჭოთა საქართველოს დედაქალაქის მშრომელთა წარმომადგენლების, დელეგაციამ, რომელსაც მეთაურობდა საბჭოთა კავშირის გმირი, საბჭოთა კავშირის ომის ვეტერანთა თბილისის სექციის თავმჯდომარე, გადამდგარი გენერალ-ლეიტენანტი ვ. ჯანჯღავა.

თბილისამდე მთელ გზაზე გაიმართა საზეიმო-სამგლოვიარო მიტინგები ლესელიძეში, სოხუმში, ზუგდიდში, ქუთაისში, გორში.

უცნობი გმირის კუბოსთან მოდიოდნენ ქალარა ქალები და მამაკაცები, რომლებმაც შვილები დაკარგეს ომში, ადამიანები, რომლებიც ომის დამთავრებიდან ძრავალი წლის შემდეგ მოიწიფნენ, მაგრამ დღემდე არ დავიწყებიათ ფრონტზე წასულ მამასთან გამომშვიდობების წუთები.

ყველას ვინც ფრონტზე ნათესავი ან ახლობელი დაკარგა და არ იცის მისი საფლავი, შეუძლია სამართლიანად ჩათვალოს უცნობი ჯარისკაცი თავის მამად და ძმად, თავის შვილად ან ქმრად. შენი სახელი უცნობია, მაგრამ გმირობა შენი უკვდავია. შენი დიდება არ წაიშლება საუკუნეთა მანძილზე.

ერმად სიმბოლურია, რომ უცნობი ჯარისკაცის ნეშტი მშობელ მიწას მიაბარეს სწორედ გამარჯვების 30-ე წლისთავის საყოველთაო-სახალხო დღესასწაულის დღეს. ვერ გავიმარჯვებდით, გმირულად რომ არ ებრძოლათ ამ ჯარისკაცს და მილიონობით კიდევ სხვას, რომელთაც სიცოცხლე შესწირეს სამშობლოს.

დღის ოთხი საათია. ლენინის მოედანზე ჯავშნატრანსპორტიორების თანხლებით გამოჩნდა ტვიშეულის ლაფეტი, რომელზეც ესვენა უცნობი ჯარისკაცის ნეშტი. გაისმის საზეიმო-სამგლოვიარო მელოდია.

კუბოს მოჰყვება ავტომანქანების კოლონა. მანქანებში სხდან ამხანაგები ბ. ბ. გილაშვილი, ა. ნინაური, შ. დ. კიკნაძე, გ. ვ. კოლბინი, ბ. ვ. მელნიკოვი, ზ. ა. პატარიძე, ჯ. ი. პატიაშვილი, ვ. მ. ფირაძე, ე. ა. შევარდნაძე, გ. ხ. ძოწენიძე, გ. დ. ჯავახიშვილი, ი. ი. მოხაშვილი, შ. ვ. ყარყარაშვილი, ე. კ. შარტავა, ო. ე. ჩერქეზიანი, რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეები ზ. ბ. გელდიაშვილი, ვ. ი. ვადაჭკორია, ა. მ. ლაბახუა, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. ა. ჯავჯავე, ამერიკაკავკასიის წითელდროშოვანი სამხედრო ოლქის სამხედრო საბჭოს წევრი — პოლიტსამმართველოს უფროსი გენერალ-ლეიტენანტი ა. გ. შელეპინი, საქართველოს კომპარტიის სოფლო კომიტეტების პირველი მდივნები: აფხაზეთისა — ვ. მ. ბინობა, აჭარისა — ვ. რ. პაპუნიძე, სამხრეთ ოსეთისა — ფ. ხ. ანაკოევი, თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ბ. ო. ლობჟანიძე.

თანმხლებთა კოლონაში არიან საბჭოთა კავშირის გმირები, სოციალისტური შრომის გმირები, დიდი სამამულო ომის ვეტერანები, თბილისის გარნიზონის მეომრები, ქალაქ თბილისის საზოგადოებრიობის წარმომადგენლები, გმირ ქალაქ ქერჩის მშრომელთა დელეგაცია.

საზეიმო-სამგლოვიარო პროცესიას ვ. ი. ლენინის ძეგლი შეეფარა და რუსთაველის პროსპექტს გაუხვია.

თბილისის მთავარი მაგისტრალის ტროტუარების გაყოლებით უამრავ ხალხს მოეყარა თავი. ისინი თავს ხრიდნენ დიდი სამამულო ომის ერთ-ერთი გმირის, უცნობი ჯარისკაცის ნეშტის წინაშე, რომელიც ომის ვეტერანებს მიაჩნიათ თავიანთ თანამოლეკელად, ცოლებსა და დედებს, მამებსა და პაპებს, შვილიშვილებსა და ქვრივებს ბრძოლის ველიდან შინმოუსვლელ ქმრად და შვილად, თავიანთ სისხლად და ხორცად.

არ წყდება საზეიმო სამგლოვიარო მელოდია.

...არავინ იცის ოდესმე გაუგია თუ არა უცნობ ჯარისკაცს რუსთაველის პროსპექტზე. მაგრამ კარგად არის ცნობილი, რომ მან სისხლი დაღვარა და სიცოცხლე შესწირა სამშობლოს. ქერჩთან, მცირე მიწაზე გადიოდა ის გზები, რომლებითაც საბჭოთა მეომრები მივიდნენ ბერლინამდე და გამარჯვების დროშა აღმართეს დამხობილ რაიხსტაგზე. კავკასიისათვის ბრძოლის მონაწილეებს კარგად ახსოვთ მე-18 არმიის პოლიტგანყოფილების უფროსის ლ. ი. ბრეჟნევის ერთ-ერთ საბრძოლო პატაკში ჩაწერილი სიტყვები: „გმირობა დამკვიდრდა ჩვენს ჯარებში და ადამიანთა უმრავლესობის განუყოფელი თვისება გახდა. იგი ყოველდღიურად ვლინდება: ბრძოლაშიც და მშვიდობიანიც. ეს მოგლენა განსაკუთრებით ნათლად გამოჩნდა მცირე მიწაზე. აქ თითქმის ყოველი კაცი გმირია“.

ექვსას ათასზე მეტი მეომარი გაგზავნა საქართველომ ფრონტზე. აქედან ყოველი მესამე ბრძოლის ველზე დაეცა, როცა საბჭოთა სამშობლოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობას იცავდა. ესტაფეტასავით გადასცემდნენ დაღუპული გმირები მწყობრში დარჩენილთ: მიდით ბერლინამდე, გამარჯვება მოუტანეთ სამშობლოს! საქართველოს მეომრებმა მრავალეროვანი საბჭოთა არმიის სხვა მეომრებთან ერთად შეასრულეს დაღუპულ მებრძოლთა უწმიდესი ანდერძი: მათ გამარჯვების გზა განვლეს კავკასიიდან ბერლინამდე. და ქართველი ხალხის შვილმა მელიტონ ქანთარიამ რუსი ხალხის შვილთან მიხეილ ეგოროვთან ერთად გამარჯვების დროშა აღმართა დამხობილ რაიხსტაგზე, სწორედ ის დროშა, რომელიც საბჭოთა ხალხს წმიდათაწმიდა რელიკვიად იქცა და გამოიტანეს კრემლის ყრილობათა სცენაზე, სადაც დიდ სამამულო ომში გამარჯვების 30-ე წლისთავისადმი მიძღვნილი საზეიმო კრება მიმდინარეობდა.

რუსთაველის პროსპექტიდან მსელელობა ილია ჭავჭავაძის სახელობის პროსპექტზე გავიდა. ყელრს ქართველი პოეზიის კლასიკოსის სიტყვები, ქართული ხალხური სიმღერები. ქართველ ხალხს სამართლიანად შეუძლია იამაყოს თავისი გმირული ტრადიციებით, რომელსაც ხოტბა შეასხეს მისმა წინაპრებმა.

პროცესიამ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს ჩაუარა. აქ თავი მოუყრიათ საქართველოს უძველესი უმაღლესი სასწავლებლის სტუდენტებს. პროფესორებსა და მასწავლებლებს. სველ ასფალტზე, საარტილერიო ლაფეტის თვლებქვეშ ცვივა აწალიმოწყვეტილი ვარდები, ტიტები და მიხაკები. როგორც სისხლის წვეთები შავ ბრძოლის ველზე, ისე მოჩანს გაზაფხულის ყვავილების ფერები.

მელოდია მელოდიას სცვლის. გაისმის ყველასათვის ნაცნობი სიმღერა „ბულბულებო, ბულბულებო, ნუ აღვიძებთ ჯარისკაცს“... ასრულებენ კომპოზიტორ ო. თაქთაქიშვილის სიმღერას მე-18 არმიაზე, იმ არმიაზე, რომელიც გმირულად იბრძოდა ქერჩთან, რომლის მებრძოლები მტერს ეჭიანებოდნენ მცირე მიწაზე, არმიაზე, რომლის პოლიტგანყოფილების უფროსი ლ. ი. ბრეჟნევი იყო.

სამგლოვიარო პროცესია უახლოვდება გამარჯვების პარკის მთავარ შესასვლელს. პარკი სავსეა თბილისის საზოგადოებრიობის წარმომადგენლებით, მშრომელებით. საზეიმო დღის მიუხედავად, პარკში მყოფთაგან ბევრს თოლხი აცვია. მწუხარედ გირჩინდულან დედები და ცოლები, რომლებსაც ფრონტიდან აღარ დაუბრუნდათ შვილები და ქმრები. ვინ იცის, იქნება ეს სწორედ მისი ნეშტია, ომიდან არდაბრუნებული ვაჟიშვილის, ქმრის ნეშტი, ფრთხილად რომ გადმოასვენეს ლაფეტიდან და საფლავისაკენ მიაქვთ?...

უცნობი ჯარისკაცის საფლავი... იგი მხოლოდ დღეს გაჩნდა აქ, გამარჯვების პარკში, დღეს გათხარეს დიდების მბმორიალის ძირას. გავა წლები და ათწლეულები და ეს საფლავი ახალ და ახალ თაობებს მოაგონებს ერთ-ერთი მამულიშვილის უკვდავ გმირობას.

საზეიმო-სამგლოვიარო ცერემონიის ყველა მონაწილეს, ისევე როგორც ყველა საბჭოთა ადამიანს, ახსოვს ლ. ი. ბრეჟნევის სიტყვები, რომლებიც დიდ სამამულო ომში საბჭოთა ხალხის გამარჯვების 30-ე წლისთავისადმი მიძღვნილ საზეიმო კრებაზე წარმოთქვა:

„ძნელი იყო გამარჯვების გზა, ბევრი დავკარგეთ ამ გზაზე. და დღეს ჩვენ უწინარეს ყოვლისა ეფიქრობთ იმათზე, ვინც ფრონტიდან ველარ დაბრუნდა, ვინც მამა-პაპათა მიწას, სოციალიზმის სამშობლოს იცავდა და დაიღუპა.

დრო, რომელიც გვაშორებს ომის წლებს, საშუალებას გვაძლევს უფრო საფუძვლიანად და სრულად შეგაფასოთ უკვდავი გმირობა მეომრებისა, სიკვდილს რომ არ „შეუშინდნენ, ოღონდ დაეცვათ სიცოცხლე, სამშობლოს თავისუფლება, დამოუკიდებლობა და ღირსება, დაეცვათ სოციალიზმი. ისინი კვლავინდებურად იქნებიან ჩვენთან ერთად — ჩვენს გულში და ჩვენს საქმეებში“.

იწყება საზეიმო-სამგლოვიარო მიტინგი. მას მოკლე შესავალი სიტყვით ხსნის თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ბ. ლობჟანიძე.

სიტყვა ეძლევა საბჭოთა კავშირის გმირს, გადამდგარ გენერალ-ლეიტენანტს ვ. ჯანჯღავას.

— უცნობი ჯარისკაცის საფლავი, — თქვა მან, — ამიერიდან გახდება უწმიდესი ადგილი, სადაც იმათი შვილები, შვილიშვილები და ბადიშის შვილები, ვინც დიდი სამამულო ომის წლებში საბჭოთა სამშობლოს თავისუფლებასა და დამოუკიდებლობას იცავდა, მამა-პაპათა ხსოვნის ერთგულების ფიცს დადებენ-ხოლმე. ეს საფლავი გახდება სამშობლოთა ხალხის მხედრული დიდებისა და მამაცობის, საქართველოს იმ სახელოვანი შვილების დიდებისა და მამაცობის სიმბოლო, რომლებმაც თავიანთი წვლილი შეიტანეს დიდი სამამულო ომის დროს ჩვენი გამარჯვების საქმეში.

სიტყვა ეძლევა საბჭოთა კავშირის გმირის კ. ლესელიძის ვაჟს პოლკოვნიკ ო. ლესელიძეს. უცნობი ჯარისკაცის წმიდათაწმიდა საფლავზე მუდამ იგლის ხალხი, თქვა მან. იგი ყოველი საბჭოთა ადამიანისათვის მუდამ მშობლიური და ახლობელი იქნება. ვინ იცის, იქნებ აქ სწორედ ის ვაჟკაცი წევს, ვინც ორმოცდაერთმა ბრძოლით იხვედა დასავლეთის საზღვრებიდან, ებრძოდა მრავალრიცხოვან და თავითფეხამდე შეიარაღებულ მტერს, ორმოცდაორ წელს ქალარა კავკასიონის უღელტეხილებზე ჩვენი ლამაზი საქართველოს საზღვარზე 46-ე არმიაში იყო, შეაჩერა შემოსეული ფაშისტთა ურდოები, ქართული მიწა არ წაიბილწენა მტერს. იქნებ ის არის, ვინც 225 დღეღამის განმავლობაში ვაჟკაცურად იბრძოდა მცირე მიწაზე, უტევდა ნოვოროსიისკს, „ცისფერ ხაზს“ არღვევდა მე-18 სადესანტო არმიის რიგებში, მტერს მუსრს ავლებდა ტამანზე და ყირიმში შეიჭრა. ვინ იცის, იქნებ მას მცირე მიწაზე მე-18 სადესანტო არმიის პოლიტგანყოფილების უფროსმა ლ. ი. ბრეჟნევმა ჭურვების ნამსხვრევების სეტყვამი პარტიული ბილეთი გადასცა. ვინ იცის, იქნებ ყირიმის დესანტის მონაწილეც იყო და ლ. ი. ბრეჟნევის „ბზნუბარე სიტყვა მოუსმენია.

—ჩვენ ყველას გვახსოვს, რა დიადი და ხათელი იდეალებისათვის გასწირე სიცოცხლე და არასოდეს არ დაგივიწყებთ, უცნობო ჯარისკაცო.

სიტყვას ამბობს ამიერკავკასიის წითელდროშოვანი სამხედრო ოლქის ჯარების სარდლის პირველი მოადგილე გენერალ-ლეიტენანტი დ. ხუხორუკოვი.

ჩვენ, ომის მონაწილენი, თქვა მან, ვერასოდეს ვერ დავივიწყებთ ასობით და ათასობით ხაცნობ და უსახელო საფლავს ფრონტის დაუსრულებელ გზებზე. ჩვენ ხშირად ელემენტარულ მხედრულ პატივსაც კი ვერ მივაგებდით ხოლმე მებრძოლს, რომელიც მტრის ტყვეობით თუ პურვის ნამსხვრევით განგმირული დაეცემოდა. და ეს საფლავი გამარჯვების პარკში, დიდების მემორიალის ძირში, გახდეს კიდევ ერთი ძეგლი ყველა უცნობილი და უსახელო ჯარისკაცისა, რომლებმაც სიცოცხლე შესწირეს ჩვენს სამარადლიან საქმეს. გახდეს საბჭოთა სამშობლოს უანგარო სამსახურის მარადიული სიმბოლო. განისვენე მშვიდად, უცნობო ჯარისკაცო.

სიტყვა ეძლევა აგრაფინა ხიმონის ასულ ცერცვაძეს, დიდ სამამულო ომში დაღუპული ოთხი ვაჟის დედას. იგი მღელვარებისაგან სათქმელს ვეღარ ამბობს და უცნობი ჯარისკაცის კუბოზე დამბობილი ეალერსება ფოლადის მუზარადს. გამარჯვების პარკი სიჩუმემ მოიცვა. თითქოს ისმის როგორ ეკიმა ქვაზე დედის ცხარე ცრემლები.

სურათზე: უცნობი ჯარისკაცის კუბოზე ყვავილები დააწყო შინმოუსვლელი ვაჟების დედამ ა. ცერცვაძემ.

საზეიმო-სამგლოვიარო მიტინგზე გამოვიდნენ ოჯახიანი საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, სოციალისტური შრომის გმირი, ფოლად-თუჯსამსხმველო ქარხნის მეკოპეთა ბრიგადის ხელმძღვანელი გ. კურტანიძე, თბილისის გარნიზონის ერთ-ერთი ნაწილის საბრძოლო და პოლიტიკური მომზადების წარჩინებული მეომარი, რიგითი ჯარისკაცი ვ. ლუშპაი, გმირ ქალაქ ქერჩის მშრომელთა დელეგაციის ხელმძღვანელი, ქერჩის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილე ვ. ნეშეევი, პოეტი შ. ფოცხიშვილი.

მიტინგი დამთავრდა.

უცნობი ჯარისკაცის კუბოს საფლავში უშვებენ. იგი იფარება გმირი ქალაქების მოსკოვის, ლენინგრადის, კიევის, მინსკის, ვოლგოგრადის, სევასტოპოლის, ოდესის, ნოვოროსიისკის, ქერჩის, გმირ ციხესიმაგრე ბრესტის, საქართველოს სხვადასხვა რაიონის მიწით, რომელიც აქ ჩამოტანილს. საფლავს დაასურეს შავი გრანიტის ფილა, რომელზეც ქართულ და რუსულ ენებზე ოქროს ასოებით ამოკვეთილია:

„არ ხარ უცნობი,
სახელი შენი
უკვდავებაა
აწ და მარადის!“

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ე. ა. შევარდნაძემ უცნობი ჯარისკაცის საფლავზე მარადიული ცეცხლი აანთო.

ჩაუქრობელ ცეცხლად იცხოვრებს ამიერიდან ადამიანთა გულში ხსოვნა ამ უცნობი ჯარისკაცისა, ამ მილიონობით საბჭოთა მეომრიდან ერთ-ერთისა, რომელმაც თავისი სისხლისა და სიცოცხლის ფასად მოიპოვა გამარჯვება და უკვდავყო სახელი თვისი.

გაისმის საარტილერიო სალუტის ზალპი. სრულდება სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ სახელმწიფო ჰიმნები.

უცნობი ჯარისკაცის საფლავს მწყობრი ნაბიჯით ჩაუარეს თბილისის გარნიზონის მეომრებმა, უკანასკნელი მხედრული პატივი სცეს დაღუპულ გმირს.

(საინფორმი).

* * *

სურათებზე: უცნობი ჯარისკაცის ნეშტის დაკრძალვის საზეიმო-სამგლოვიარო ცერემონია თბილისში, გამარჯვების პარკში.

ვლ. ბინზბურგის ფოტო.

მორის ფოცხიშვილი

არ ხარ უცნობი

ნუგეშის წვიმა ოარუმს გვირჩენს,
სდუმს საქართველო — მწუხარე დუდა,
რა მოუვიდათ ღიმილის ბიჭებს,
რამ ჩაუგუბათ თვალებში სევდა?!

რატომ არ ისმის ვაშა მხედრული,
რად მოუხდიათ მამებს ქუდები,
გამარჯვებისთვის დაბადებული
მინ ასე გვიან რატომ ბრუნდები?!

ცხრა გაბაფხულს ხარ ცხარე ცრემლი
და მზის სულივით უქრობი მარად, —
არა, არ წყდება სიცოცხლე წრფელი,
არ ეკარგება არავინ, არა!

ძმათა მრავალთა შენ ხარ ლაბარი,
აქ როგორ გინდა ასე ეულად,
ქოჩორა ბიჭო, რაღაც გვითხარი,
მშობელი ხალხი სმენად ქცეულა!

სმენად ქცეული ძველი მარიდა,
ბებერ კოწახისაც ცეცხლი ედება, —
ეს რა ტკივილი ალაპარაკდა,
რა გაიხსენეს სამცხის ქედებმა?!

სად გაწყდა სიყრმის ბილიკი ვიწრო,
რა უნდა ერქვას ელდას გაძხელილს, —
მამულიშვილნო, იქნება იცხოთ,
იქნებ დაერქვას უცნობს სახელი!

დედებო, იქნებ თქვენი შვილია,
იქნებ ეს ფერფლი თქვენი წვის არი, —
იქნებ იცანი, ჩემო მთაწმინდავ,
გზნება შენი და შენი სიზმარი.

თქვი, ნარიყალავ, ვის წულულებს ჰფიცავს
დღეს მუხლმოყრილი მთელი ქვეყანა,
ან ყველა გმირი ქალაქის მიწა
თბილისში მკერდზე ვის დაეყარა?!

ან ვინ გაიხსნა ქვითინით უბე,
სამარეა თუ ჭრილობა ცხელი, —
არ ეკარგება არავინ თურმე,
არ გაწყვეტილა სიმღერა წრფელი!

ისევ ყვავილობს ია და ნუში
და შენი კვალი ხნულებში მოსჩანს,
დედა-სამშობლო გიხუტებს გულში,
როგორც ტყვიებით დაცხრილულ დროშას!

ხმა ამოიღე ოღონდაც წუთით,
ისევ დაგვხურე ლაჟვარდი ქუდად,
ყელში მურვივით გაჩრილი ბურთი
ბოლოს და ბოლოს, აფეთქდეს უნდა!

ბოლოს და ბოლოს, ურავ გვაკმარე,
გაგვაგებინე ყველას უკლებლად, —
საქართველოში რა დაგაბარეს
შინმოუსვლელმა მზეკაბუკებმა!

ძლევად წამოდექ და დაგვენახე,
გიხმობს, გეძახის ერი ერთგული, —
ქიგოაჭრილი შენ ხარ ვენახი
და ქართველის დედის თმით ხარ შეკრული!

სიკვდილს თრგუნავდი სიცოცხლის რწმენით,
გვეწირებოდი და გვიფარავდი...
არ ხარ უცნობი, —
სახელი შენი
უკვდავებაა აწ და მარადის!!!

1975 წლის 9 მაისი.

ლექსი წაკითხულია უცნობი ჯარისკაცის ნეშტის დაკრძალვის საზეიმო-სამგლოვიარო ცერემონიალზე თბილისში, გამარჯვების პარკში.

1945 — 1975

დაბრუნება შინმოუსვლელისა

აჯიმუშკაის გმირული 170 დღე

ქერჩის ისტორიულ-არქეოლოგიურ მუზეუმში გამოფენილია ტაბლოები, რომლებზეც აღნიშნულია ფაქტები, ადამიანთა დასახლებები.

ნაპოვნია მეზოლითის ეპოქის ადგილები ქვის იარაღები და ორი ქვის სტელა ადამიანის სქემატური გამოსახულებით. ყირიმში ბერძნების მოსვლამდე აქ უკვე ცხოვრობდნენ ადამიანები. მახსენდება სადაც წაკითხული და დანახული ორი ამბავი ქერჩის ისტორიიდან.

1975 წლის ოთხ მაისს ქართველთა დელეგაცია ქერჩს ეესტუმრა. ისევ ადამიანებს ვეძებთ, ვეძინებოდა, მამას ვეძებთ დაკარგულს, ძმას ვეძებთ დაკარგულს, ფაშისტ გერმანელებთან ბრძოლის დროს; უთანასწორო ბრძოლის დროს დაღუპულ ბიჭებს ვეძებთ, ბიჭებს, ახლა ისინი, ჩვენი მამები, ჩვენი ძმები და ბიძები ჩვენზე გაცილებით უმცროსნი ხარან.

გმირი ქალაქი ქერჩი. ჩვენ განსაკუთრებით გვაინტერესებს აჯიმუშკაის ქვის სამტეხლოები.

აჯიმუშკაის ქვისსამტეხლოები ფასობდნენ ბუდეა გმირი და ფარნდი ადამიანებისა.

1905 წელს ბოლშევიკებს, იატაკქვეშეთელებს, სტამბა ჰქონდათ ამ ქვისსამტეხლოებში.

1919 წელს თეთრგვარდიელებს აქედან უტევდნენ ბოლშევიკები.

ხოლო 1941-43 წლებში აჯიმუშკაი უძლიერესი ბაზა იყო ქერჩის პარტიზანებისა და ჯარისკაცებისა.

აჯიმუშკაის არნახვა არ შეიძლება. ვისაც აჯიმუშკაი უნახავს, ისეთი გრძნობა ეუფლება, თითქოს საკუთარ მხრებზე გადაეტანოს სამამულო ომის მთელი სიმძიმე და მეკინვარება.

ალაჯაშმორტყმული აჯიმუშკაი, ესე იგი კავკასია, ესე იგი სამშობლო, მისი ხათელი მომავალი, მისი დღევანდელი გაზაფხული და ახალგაზრდობა! ასე ესმოდათ საბჭოთა ჯარისკაცებს, ძმებს — მრავალეროვანი სამშობლოს შვილებს, რომლებსაც „ფეხზე სიკვდილი ერჩიათ დაჩოქილ არსებობასა“.

გერმანელებმა უსინათლო და თვალბდათხრილი ქვისსამტეხლოებში გაზი შეუშვეს, უმწეო ბავშვები ყვიროდნენ და ეძახდნენ დედებს.

ბავშვები, დედები, მოხუცები. ჯარისკაცები, მეთაურები, ერთნაირი ერთგულებით, ერთნაირი შემართებით კვდებოდნენ და არ ნებდებოდნენ გერმანელ კაციჭამიებს.

მიწისქვეშეთიდან რაციით გადმოსცემდნენ — „ყველას! ყველას! საბჭოთა კავშირის ყველა ხალხს! ჩვენ, ქერჩის დამცველნი, ვგმუდებით გაზისგან, მაგრამ მტერს არ ვნებდებთ, ტყვედ არ ვბარდებთ!“.

ერთი ჭა ჰქონდათ მამულისათვის თავდადებულებს, ერთი ჭა, რომელსაც გერმანელი ფაშისტები გაძლიერებული ცეცხლით იცავდნენ. წყალი აუცილებელი იყო მებრძოლთათვის, განსაკუთრებით დაჭრილთათვის და ბავშვებისათვის. დაჭრილი მებრძოლები უწყლობას ვერ იტანდნენ. გმინავდნენ. სიკვდილს ებრძოდნენ. ჭასთან იერიში მიაჭონდათ საბჭოთა პატრიოტებს და იღერებოდა ერთბამად ასი კაცის სისხლი ერთი ვედრო წყლისათვის...

ისე, რომ, ბოლოს გერმანელმა ფაშისტებმა საბჭოთა ჯარისკაცების გვამებით ამოქოლეს ჭა — ერთადერთი წყარო გაძლებისა.

ახლა მორიგეობით თხრიდნენ ქვისსამტეხლოში ახალ ჭას, თხრიდნენ ყველაფრით, რითიც შეეძლოთ: ჯოხით და დანით, ხელებით, ფრჩხილებით, ჩადიოდნენ სიღრმეში, ნელა, დაბეჯითებით, რწმენით, იმედით, და ჩაიღწიეს კიდევაც, ახალი ჭა აღმოაჩინეს.

უთანასწორო ბრძოლა არა ცხრებოდა, აჯიმუშკაის პატრიოტები იბრძოდნენ, იბრძოდნენ სისხლის უკანასკნელ წვეთამდე, რადგანაც სჯეროდათ, რომ გაღებული სიცოცხლე ეხმარებოდათ ქერჩის სხვა მამაც დამცველებს, ჯარისკაცებს, მეზღვაურებს.

170 დღის განმავლობაში მშიერ-მწყურვალნი, სისხლისგან დაცლილნი, მაგრამ მუხლჩაუხრელნი იბრძოდნენ აჯიმუშკაელები, მოსვენებას არ აძლევდნენ ვერაგ მომხდურს. ცოტა ვინმე თუ გადარჩა ამ მრისხანე ომში, ცოტანი თუ დაუბრენდნენ მშობლიურ კუთხეებს, დედას და მამას, ცოლსა და შვილს, სატრფოს თავისას! შვიდი ტყვია ჩადიოდა ოფიცრის იარაღში, ექვსი გერმანელისა იყო, ხოლო ერთი — საკუთრივ თავისი, რომ ტყვედ არ ჩავარდნოდა მტერს.

საბჭოთა კავშირის მთავარსარდლობას წუთითაც ხრ ჰყოლია მიტოვებული მამაცი აჯიმუშკაელები, მოსკოვის რადიოს ხმა მთელი თავისი სიძლიერით შედიოდა ქვის სამტეხლოებში.

შევდივართ აჯიმუშკაის კატაკომბებში, ეს გახლავთ საოცრება, სასწაული, რომლის მსგავსი ალბათ არ სმენია სამყაროს ჩვენსას. კედლები სავსეა პატრიოტული წარწერებით. სხვადასხვა ენებზეა წარწერილი ნაირ-ნაირი ლოზუნგი თუ აღშფოთება, გულისძახილი თუ მოწოდება. შეეჩერდით ქართული წარწერებთანაც. ჩაბნელებული კედელი გაგახსოვთ და... ცრემლები ვეღარ შეიკავე — სად შეუღწევია ძალას და ენერგიას ქართული სიტყვისას!

ერთ კედელზე, ერთ ქართველს, ვაჟკაცური ხელით გამოუყვანია, თითქმის დაუხატავს—„სამშობლო, დედის ძუძუი, არ გიიცვლების სხვაზედა“, იქვე, მეორე ჯარისკაცის მინაწერია — „სჯობს სიცოცხლესა ნაძრახსა, სიკვდილი სახელოვანი“. „სამშობლოსათვის სტალინისათვის!“ „ვკვდებით მაგრამ არ ვნებდებთ!“

ალბათ დამიჯერებთ, ძვირფასო თანამემამულენო, ძნელია, გმირულად დაცემული ქართველი კაცი სიკვდილის ადგილზევე გაგიცოცხლდეს და კვლავ ასეთი პატრიოტული სტრიქონებით გაეღეთოს შენი სხეული, კვლავ ის მამული გაგახსენოს, რომლის დიდებისათვის და დამოუკიდებლობისათვის დაეცა წმინდა მიწაზე. იმიტომ ჩვენ, ყველანი, გენერალ-ლეიტენანტ ჯანჯღავას ხელმძღვანელობით, მხარში ვუდგებით გმირ საბჭოთა ჯარისკაცებს და მათთან ერთად ვებრძოდით მტერს. საშინლად გვეჭირდა იმ წუთში. იმ წუთში ჩვენთვის იდგა დაუვიწყარი 1942 წელი, ჩვენც ვიყავით აჯიმუშკაის ქვისსამტეხლოებში, ეკვდებოდით, მაგრამ მტერს არ ვნებდებოდით.

ჩვენ ახლა ვდგავართ ქერჩის წმიდა მიწის იმ მონაკვეთზე, სადაც დაიღუპა უამრავი ჩვენი თანამემამულე, დგგავართ ზეკანონ-ტიკ ტიტელიმაგრე ბრესტის, საქართველოს სხვადასხვა რაიონის მიწით, რომელიც აქ ჩამოტანილს. საფლავს დაასურეს შავი გრანიტის ფილა, რომელზეც ქართულ და რუსულ ენებზე ოქროს ასოებით ამოკვეთილია:

„არ ხარ უცნობი,
სახელი შენი
უკვდავებაა
აწ და მარადის!“

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ე. ა. შევარდნაძემ უცნობი ჯარისკაცის საფლავზე მარადიული ცეცხლი აანთო.

ჩაუქრობელ ცეცხლად იცხოვრებს ამიერიდან ადამიანთა გულში ხსოვნა ამ უცნობი ჯარისკაცისა, ამ მილიონობით საბჭოთა მეომრიდან ერთ-ერთისა, რომელმაც თავისი სისხლისა და სიცოცხლის ფასად მოიპოვა გამარჯვება და უკვდავყო სახელი თვისი.

გაისმის საარტილერიო სალუტის ზალპი. სრულდება სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ სახელმწიფო ჰიმნები.

უცნობი ჯარისკაცის საფლავს მწყობრი ნაბიჯით ჩაუარეს თბილისის გარნიზონის მეომრებმა, უკანასკნელი მხედრული პატივი სცეს დაღუპულ გმირს.

(საინფორმი).

* * *

სურათებზე: უცნობი ჯარისკაცის ნეშტის დაკრძალვის საზეიმო-სამგლოვიარო ცერემონია თბილისში, გამარჯვების პარკში.

ვლ. ბინზბურგის ფოტო.

ძვირფასო დედებო, შინმოუსვლელთა მშობლებო, ძმებო და დებო, შვილებო და მეუღლეებო! დღეიდან, ჩვენს საყვარელ დედაქალაქში გაგისვენებს ჩვენი თანამემამულე, გმირი ჯარისკაცი, დაე მას ჩვენი ოჯახებიდან წასულისა და არდაბრუნებულის სახელი ერქვას, ყველას სახელი. ვინც თავი გასწირა ჩვენი დიდი მამულისათვის.

დღეიდან იგი სამარადისოდ იქნება ჩვენს გამარჯვებულ მამულში. ჩვენს საქართველოში, როგორც მკვდრეთით აღმდგარი, ოცი მილიონი საბჭოთა ჯარისკაცის სახელით, სამასი ათასი ქართველი ჯარისკაცის სახელით.

ისე მოვუვლოთ მის წმიდა საფლავს, როგორც აჯიმუშკაის ქვისსამტეხლოებში უვლიდა იგი ჩვენს საყვარელ საქართველოს.

სამარადისო დიდება გმირებს, რომლებიც დაეცნენ ჩვენი მამულის დამოუკიდებლობისათვის და გამარჯვებისათვის ბრძოლაში.

მადლობა დედა სამშობლოს წასულ გმირთა არდავიწყებისათვის!

ჯანსულ ჩარკვიანი.

1975 წ. მაისი.
აჯიმუშკაი-თბილისი.

1945 1975

წარუშლელი ხსოვნა

საქართველოს შრომელ ბ ი შთელ საბჭოთა ხალხთან ერთად პატივს სცემენ მეომარ-გმირებს, რომლებმაც თავიანთი ძლევამოსილი დროშები ატარეს ვოლგიდან ბერლინამდე.

9 მაისს თბილისში მტერთან ბრძოლებში დაღუპული საბჭოთა მეომრების ძმათა სასაფლაოს მეომრიალთან გიმართა ხალხრაველი მიტინგი. მიტინგზე იყვნენ საქართველოს კომპარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი პ. გელაშვილი, პარტიის საქალაქო კომიტეტის მეორე მდივანი თ. მენთეშაშვილი, საქალაქო კომიტეტის მდივანი გ. გაბუნია, თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ბ. ლობჟანიძე, დიდი სამამულო ომის მონაწილენი, ბრძოლის ველზე დაღუპულ მეომართა ნათესავები და ახლობლები.

ძეგვე ფყვნენ ლუბლიანის — თბილისს, დაძმობილებული ქალაქის მშრომელთა წარმომადგენლები სლოვენიის კომუნისტთა კავშირის ცენტრალური კომიტეტის წევრი, პარტიის ლუბლიანის საქალაქო კომიტეტის მდივნის მოადგილე ს. კორბარი, ლუბლიანის სკუპშინის თავმჯდომარის მოადგილე, სლოვენიის რეზერვისტოფიცერთა კავშირის თავმჯდომარე ს. ვირხოვეცი.

ომის გმირთა ხსოვნის ობელისკთან დგას თბილისის გარნიზონის მეომართა საპატიო ყარაული. მარადიულ ცეცხლთან ყარაულში აწყვია ომის ვეტერანთა, ქალაქ თბილისის ოქტომბრის რაიონის მშრომელთა და ახალგაზრდობის გვირგვინები.

მიტინგი გახსნა საქართველოს კომპარტიის ქალაქ თბილისის ოქტომბრის რაიკომის პირველმა მდივანმა ა. ახიოზომ, რომელმაც თქვა, რომ გამარჯვების დღეს საბჭოთა ადამიანები კვლავ და კვლავ მადლობას უძღვნიან იმათ, ვინც მკერდით დაიცვა სოციალისტური სამშობლოს ღირსება და დამოუკიდებლობა. თავს ხრიან მამაცი შვილების ნათელ ხსოვნის წინაშე.

დიდი სამამულო ომის ვეტერანთა სახელით გულში ჩამწვდომი სიტყვა წარმოთქვა გადადგარმა გენერალ-მაიორმა ი. ბაბალაშვილმა. მან ილაპარაკა ჰიტლერულ ფაშიზმზე გამარჯვებაში ქართველი ხალხის წვლილის შესახებ. ომის წლებში სსრ კავშირის შეიარაღებული ძალების რიგებში საქართველოს 600 ათასზე მეტი წარმომადგენელი იყო. საბრძოლო დამსახურებისა და გმირობისათვის 244 ათასზე მეტი კაცი დაჯილდოდა ორდენებითა და მედლებით, 137 მეომარს კი საბჭოთა კავშირის გმირის საამაყო წოდება მიენიჭა.

რაც უფრო გვაშორებს ისტორია დიდი სამამულო ომის ამ მრისხანე წლებს, აღნიშნეს სხვა ორატორებმა, მით უფრო მკაფიოდ წარმოგვებდგება თვალწინ საბჭოთა ხალხის უკვდავი გმირობის სიდიადე.

მიტინგის მონაწილეებმა წუთიერი დუმილით სცეს პატივი იმათ ხსოვნას, ვინც ომის ფრონტებზე დაიღუპა სოციალისტური სამშობლოს დაცვის დროს.

მიტინგი დამთავრდა. ქუჩს შაშხანების ზალპი, რომელსაც ერთვის სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ სახელმწიფო ჰიმნების მელოდია.

მიტინგი და გვირგვინებით შემკობის ცერემონია გიმართა სახელგანთქმული მხედართმთავრის, საბჭოთა კავშირის გმირის, მე-18 სადესანტო არმიის სარდლის გენერალ-პოლკოვნიკ კ. ნ. ლესელიძის ძეგლთან. მიტინგი გახსნა საქართველოს კომპარტიის ქალაქ თბილისის კიროვის რაიკომის პირველმა მდივანმა ნ. ნიფედოვმა, რომელმაც აღნიშნა, რომ გენერალ ლესელიძის მხედრული გმირობა სამუდამოდ ბრწყინვალე ფურცლად ჩაიწერა დიდი სამამულო ომის მატიანეში.

დიდი სამამულო ომის მონაწილეებმა ა. მესიევმა, რომელიც მე-18 არმიის რიგებში იბრძოდა მცირე მიწაზე, კ. ნ. ლესელიძის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ ახლახან გამოსული წიგნის ავტორმა, გაზეთ „სოფლის ცხოვრების“ რედაქტორმა მ. დავითაშვილმა, პროფესორმა ზ. შველიძემ, საბჭოთა კავშირის გმირმა პ. ფიქორიძემ, საბჭოთა კავშირის გმირის კ. ნ. ლესელიძის სახელობის სპეციალიზებული სკოლა-ინტერნატის კურსანტმა ბ. ტატუაშვილმა და სხვებმა აღნიშნეს, რომ ათასობით ცნობილი და უსახელო გმირი თაობებისათვის მუდამ იქნება ზნეობრივი ძალისა და თავდადების საუკეთესო ნიმუში.

(სპუტნიკი).

სოხუმი. სამშობლოსათვის ბრძოლაში დაცემულ გმირთა ძეგლი. შ. ნახატიანის ფოტო.

ომი და მშვიდობა ბავშვის თვალით

ბაშვთა საბჭოთა ხელოვნების რესპუბლიკურ მუზეუმში გაიხსნა საბავშვო ნახატების გამოფენა „და მუდამ იყოს მზე“. იგი ფაშიზმზე საბჭოთა ხალხის დიდი გამარჯვების 30-ე წლისთავს ეძღვნება.

ექსპოზიციაში წარმოდგენილია სამიდან თექვსმეტ წლამდე ასაკის 650 ავტორის 900-ზე მეტი ნამუშევარი.

ფერწერული ტილოები, ქანდაკება, გრაფიკული ნამუშევრები, ორიგინალური ფერადოვნება, კერამიკა, რომლებიც ბავშვური უშუალობით და ტატაცებით არის შესრულებული, ასახავს დიდი სამამულო ომის მრისხანე დღეებს, საბჭოთა ჯარისკაცის ვაჟკაცობას, გულადობასა და გმირობას, მარადიულ ხსოვნას. (საქინფორმი).

ასე იქცევიან მეომრები

საფრთხე არად ჩაგდო

ეს მოხდა ტაქტიკური წვრთნის დროს, მეექსკავატორეთა ჯგუფიული საინჟინრო სამუშაოებს ასრულებდა. საჭირო გახდა რამდენიმე მეტრით მანქანის წინ წაწევა.

რიგითმა ჯარისკაცმა ა. კომომაიევმა ექსკავატორის თვლებს ხუნდები გამოაცალა და კაბინაში შეუსვლელად ხელის მუბრუკი გამორთო. მანქანა ადგილიდან დაძრა.

ძალიან გვიან შენიშნა საშიშროება გამოუცდელმა ჯარისკაცმა კომომბაევმა. გამორთულ ძრავიანი ექსკავატორი ხრამს მიუახლოდა.

სულ რამდენიმე წამი დახჭირდა ხერუანტ ა. ზაბუსს, რომ მანქანის კაბინაში შემხტარიყო. მან ხელი ხტაცა ხაჭეს, და როცა ხრამამდე რაღაც ერთი მეტრიღა რჩებოდა, მკვეთრად შეაბრუნა ხაჭე მარცხნივ. ექსკავატორი გვერდზე გადაეხარა. მარჯვენა თვლის ნახევარი ხრამზე გადაეკიდა. მანქანა შეტორტმანდა, მაგრამ მაინც არ გადავარდნილა. როცა გაჩერდა, ანდრია ზაბუსი რამდენიმე წამს უძრავად იწდა, თითქოს ვიღაცას საჭესთან მიეჯაჭვოს. მეომარს ხახეზე ოფლი ღვარვივით ჩამოსდიოდა.

— რაზე ფიქრობდით იმ წუთებში? — ჰკითხეს ხერუანტს მეომრებმა, როცა ხაშიშროება უკვე ნაკლული იყო.

— რიგით ჯარისკაც მოროზოვზე, — აღიარა ზაბუსმა. — ის ხომ კაბინაში იყო და შეიძლებოდა დაღუპულიყო.

შემთხვევა საგუშაგოზე

უმცროსი ხერუანტი ი. ივანცოვი საგუშაგოზე დილაადრიან გავიდა. ამ დროისათვის ამინდმა გაუარესება იწყო. ქარი ამოვარდა. გაწვიმდა.

გათოშილი, აბუზული ივანცოვი გარშემო უცნიდა საგუშაგოს. უცაბ შენიშნა, რომ ერთ-ერთ ბოძზე ნათურა აციმციმდა. შემდეგ მოესმა რაღაც ტკაცუნი და ნათურა ჩაქრა.

წყვდიადი ჩამოწვა. სამაგიეროდ ბოძზე, საბრძოლო მანქანების პარკის მახლობლად, საგუავის ხაწყობის გვერდით ნაპრწყლებმა გაკვეხეს. მეომარმა სიგნალიზაციასთან მიირბინა, რათა საყაროულოში შეეტყობინებინა მომხდარი ამბავი. მაგრამ ხელი შეახო თუ არა ხველ ბოძს, დენმა დაკრა. ცოტა ხნით მეომარმა გონება დაკარგა. როცა გონს მოვიდა პირველი იხ მოიმოქმედა, რომ ჩამრაზი ჩართო. შემდეგ ცეცხლსაქრობი კედლიდან სასწრაფოდ ჩამოიღო და შეუდგა ცეცხლთან ბრძოლას, რომელიც სულ უფრო ძლიერდებოდა.

საგუშაგოზე ხანძრის შესახებ უმცროსმა სერუანტმა ივანცოვმა საყაროულოს მაინც შეატყობინა.

ბოს შესახვედლად მაშინვე გაეშურნენ რიგითი ჯარისკაცები ბ. ჯობაძე და რ. პროხოროვი. მალე ცეცხლს კერა ჩაეჭრეს.

საგუშაგოზე გამოჩენილი ვაჟკაცობისათვის უმცროს სერუანტს ივანცოვს ხანმოკლე შვებულება მისცეს.

როცა ადამიანები გასაჰირში არიან

ᲥᲕᲔᲒᲐᲜᲐᲣᲛᲝᲗᲕᲘᲗ უბედურება ეხ მაუწყებელი სიგნალი შუადამისას მიიღეს. მოებში ღრმა თოვლში მოქცეულიყო ავტომანქანის კოლონა. უფროსმა ლეიტენანტმა ი. პასეჩნიკმა ბრძანება მიიღო ტანკით კოლონის საშველად წასულიყო, მანქანა მექანიკოს-მძღოლს ხერუანტ ე. ბარტახს მიპყავდა.

რამდენიმე საათს მიიწევდნენ მეომრები მოთიან ბილიკზე, რომელიც ძლივსღა მოჩანდა თოვლში.

ეი უდელტეხილიც. მალე ოფიცერმა პასეჩნიკმა დაინახა თოვლში ჩაფლული მანქანების განაოებული ფარები. მანქანებში მსხდომთ ლამის იმედიც კი გადაეწყვიტათ, მაგრამ ტანკი რომ დაინახეს, გულებზე მოვიდნენ. მათ იცოდნენ: თუ ეს უბედურებაში მყოფთათვის დასახმარებლად ჯარისკაცები მოდიან, ყველაფერი რიგზე იქნება.

გათენდა კიდეც. ტანკი ფრთხილად ჩამოდიოდა კლდოვან გზაზე. მას მანქანები მოჰყვებოდნენ.

რამდენიმე დღის შემდეგ ქვეგანაყოფში ნერილი მოვიდა. ერთ-ერთი ადგილობრივი საწარმოს დირექტორ ტანკისტებს მადლობას უხდიდა დახმარებისათვის.

ადამიანის სიცოცხლისათვის

ᲓᲐᲛᲘᲗ გაბმულად აწკრიალდა ტელეფონის ზარი, ავადმყოფს ხასწრაფო ოპერაცია სჭირდებოდა. მისი, სიცოცხლე ბეწვზე ეკიდა.

რამდენიმე წუთში მედიცინის სამსახურის პოლკოვნიკი ა. ი. როდიონოვი ჰოსპიტალში იყო. ავადმყოფი უკვე სოპერაციო მაგიდაზე დაეწვინათ.

ოპერაცია ექიმმა დროზე გაუკეთა. შემდეგ კი დაიწყო გრძელი, შფოთიანი დღეები და ღამეები. ადამიანის სიცოცხლისათვის იბრძოდნენ ა. როდიონოვი, მედიცინის სამსახურის კაპიტანი ვ. იბრაგიმოვი, მედდები ლ. გოგლიძე, ა. რუდნიცკაია, ლ. ბულანოვა.

ავადმყოფი ოუმცა ნელა, მაგრამ მაინც გამოჯანმრთელების გზაზე დგებოდა.

ეს მხოლოდ ერთი ეპიზოდია სამხედრო ჰოსპიტლის უოლოგიური განყოფილების გამგის, მედიცინის სამსახურის პოლკოვნიკის ა. ი. როდიონოვისა და მისი კოლეგების ცხოვრებიდან. მათ თავიანთი მუშაობის მთავარ მიზნად მიაჩნიათ ბრძოლა მეომართა სიცოცხლისათვის, საბრძოლო მწყობრში მათი დაბრუნებისათვის. (საქინფორმი).

საქართველოს ფიზიკა-ბაგში

იმ დღეთა გახსენება

ᲝᲛᲘᲡ ᲕᲔᲢᲔᲠᲐᲜᲗ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲗᲐ ᲨᲔᲮᲕᲔᲓᲠᲐ

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმში გაიმართა დიდი სამამულო ომის ვეტერან ქართველ მეცნიერთა შეხვედრა. შეხვედრის მონაწილენი გულთბილად მიესალმნენ გერმანელ-ფაშისტ დამპყრობთა წინააღმდეგ ბრძოლებში მონაწილე საბჭოთა არმიის ყოფილ მეომრებს. დიდი სამამულო ომის ვეტერანთა შორის ბევრი თვალსაჩინო ქართველი მეცნიერია, რომლებმაც დიდი წვლილი შეიტანეს მტერზე გამარჯვების საქმეში.

შეხვედრა შესავალი სიტყვით გახსნა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმის პარტბიუროს მდივანმა ჯ. ლომინაძემ.

სამშობლოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის განვლილი ბრძოლების შესახებ დაამსჯელეს მეომრებმა გაუზიარეს დიდი სამამულო ომის ვეტერანებმა, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსებმა ვ. კუპრაძემ, თ. დავითაიამ, რ. დვალმა, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმის თანამშრომელმა ა. ივანოვმა.

შეხვედრის მონაწილეებმა დიდი სამამულო ომის ფრონტებს მიუღოცეს გამარჯვების დღე და უსურვეს მათ ჯანმრთელობა და შემოქმედებითი წარმატებანი. ვეტერანებს გადასცეს სამახსოვრო საჩუქრები.

(საქინფორმი).

ᲙᲝᲜᲪᲔᲠᲢᲔᲑᲘᲗ ᲛᲘᲬᲧᲔᲛᲡᲔᲑᲗᲐᲜ

ᲠᲘᲒᲘ ᲙᲕᲘᲠᲘᲗ განმავლობაში საბჭოთა ესტრადის გამოჩენილი ოსტატი, რსფსრ-ის სახალხო არტისტი ოლგა დონლიძე კონცერტებს მართავდა კასპიისპირეთში, ნოღაის ველებზე მოზამთრე ქართველი მეცხვარეებისათვის.

საღამოვარ მასპინძებზე განლაგებულ კოლმეურნეობებში, საბჭოთა მეურნეობებში, მეცხვარეობის ფერმებსა და მწყემსთა საცხოვრებლებში საგრძნობ აღფრთოვანებითა და ხალისით ხვდებოდნენ საყვარელი მსახიობის გამოჩენას...

ოლგა დონლიძე უკვე ნახევარი საუკუნეა ემსახურება საყვარელ საქმეს და მშობლიურ ხალხს. სად არ ყოფილა, ჩვენი ქვეყნის რამელ კუთხეში არ უჩვენებია თავისი ხელოვნება. სამამულო ომის დღეებში მას საშიფო კონცერტები აქონდა ჯარის ნაწილებში, ეკაკო-ბოსპიტლებში, ომის შემდეგ მას შემოქმედებას ტაშს უკრავდნენ მორეულ ტუნდრაში და მაგადანში, შუა აზიაში და ბალტიისპირეთში, ბელორუსიაში და შორეულ აღმოსავლეთში.

Ზ. ᲚᲣᲠᲯᲗᲐᲨᲕᲘᲚᲘ.

გმირეგი — სკოლეგში

ფაშისტურ გერმანიაზე გამარჯვების 30-ე წლისთავის აღსანიშნავად ზესტაფონის მესამე საშუალო სკოლის პიონერთა ორგანიზაციამ კოლექტივებ და მოსწავლე ახალგაზრდობამ შეხვედრა მოუწყეს საბჭოთა კავშირის გმირებს ბ. ლურსმანაშვილსა და გ. ინასარიძეს.

დიდი სამამულო ომის გმირებთან და ომიოლის მოწინავე ადამიანებთან შეხვედრები მოაწყეს ავრეთვე სოფელ მეორე სვირის ლენინის სახელობის და სტალინის სახელობის კოლმეურნეობების პიონერიდამა პარტიულმა ორგანიზაციებმა, პირველმა და მეორე საქალაქო და რაიონულმა ბიბლიოთეკებმა. ქალაქის კულტურის პარკში შშრომელები ეცნობიან რაიონის მკვიდრი ადამიანების, საბჭოთა კავშირის გმირების ს. კვეიღაძის, ლ. ჩუბინიძის, ა. ბებალაშვილისა და დ. მერკვილაძის ბრძოლისა და ცხოვრების ამსახველ მასალებს. (სპეც. კორ.).

ᲒᲛᲘᲠᲔᲒᲘ — ᲡᲙᲝᲚᲔᲒᲨᲘ

ფაშისტურ გერმანიაზე გამარჯვების 30-ე წლისთავის აღსანიშნავად ზესტაფონის მესამე საშუალო სკოლის პიონერგორმა კოლექტივებ და მოსწავლე ახალგაზრდობამ შეხვედრა მოუწყეს საბჭოთა კავშირის გმირებს ბ. ლურსმანაშვილსა და გ. ინასარიძეს.

ᲛᲘᲬᲧᲔᲛᲡᲔᲑᲗᲐᲜ ᲛᲘᲜᲐᲬᲘᲚᲔᲑᲘ

ᲠᲘᲒᲘ კვირის განმავლობაში საბჭოთა ესტრადის გამოჩენილი ოსტატი, რსფსრ-ის სახალხო არტისტი ოლგა დონლიძე კონცერტებს მართავდა კასპიისპირეთში, ნოღაის ველებზე მოზამთრე ქართველი მეცხვარეებისათვის.

საღამოვარ მასპინძებზე განლაგებულ კოლმეურნეობებში, საბჭოთა მეურნეობებში, მეცხვარეობის ფერმებსა და მწყემსთა საცხოვრებლებში საგრძნობ აღფრთოვანებითა და ხალისით ხვდებოდნენ საყვარელი მსახიობის გამოჩენას...

ოლგა დონლიძე უკვე ნახევარი საუკუნეა ემსახურება საყვარელ საქმეს და მშობლიურ ხალხს. სად არ ყოფილა, ჩვენი ქვეყნის რამელ კუთხეში არ უჩვენებია თავისი ხელოვნება. სამამულო ომის დღეებში მას საშიფო კონცერტები აქონდა ჯარის ნაწილებში, ეკაკო-ბოსპიტლებში, ომის შემდეგ მას შემოქმედებას ტაშს უკრავდნენ მორეულ ტუნდრაში და მაგადანში, შუა აზიაში და ბალტიისპირეთში, ბელორუსიაში და შორეულ აღმოსავლეთში.

Ზ. ᲚᲣᲠᲯᲗᲐᲨᲕᲘᲚᲘ.

ᲙᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲤᲘᲚᲐᲠᲛᲝᲜᲘᲐ

ᲨᲐᲑᲐᲗᲘᲡ საბჭოთა ხელოვნების რესპუბლიკურ მუზეუმში გაიხსნა ნახატების გამოფენა „ᲓᲐ ᲛᲣᲓᲐᲛ ᲘᲧᲝᲡ ᲛᲖᲔ“. იგი ფაშიზმზე საბჭოთა ხალხის დიდი გამარჯვების 30-ე წლისთავს ეძღვნება.

ექსპოზიციაში წარმოდგენილია სამიდან თექვსმეტ წლამდე ასაკის 650 ავტორის 900-ზე მეტი ნამუშევარი.

ᲤᲔᲠᲬᲔᲠᲘᲗᲘ ᲜᲐᲛᲣᲨᲔᲕᲠᲔᲑᲘ, ᲙᲐᲜᲓᲐᲙᲔᲑᲘ, ᲒᲠᲐᲤᲘᲙᲣᲚᲘ ᲜᲐᲛᲣᲨᲔᲕᲠᲔᲑᲘ, ᲙᲔᲠᲐᲛᲘᲙᲐ, ᲠᲝᲛᲚᲔᲑᲘᲗᲘᲪ ᲑᲐᲕᲨᲕᲘᲡ ᲤᲐᲠᲗᲝᲑᲘᲗ ᲐᲠᲘᲡ ᲨᲔᲡᲠᲣᲚᲔᲑᲣᲚᲘ, ᲐᲡᲐᲮᲐᲕᲡ ᲓᲘᲓᲘ ᲡᲐᲛᲐᲛᲣᲚᲝ ᲝᲛᲘᲡ ᲛᲠᲘᲡᲮᲐᲜᲔ ᲓᲦᲔᲔᲑᲡ, ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲯᲐᲠᲘᲡᲙᲐᲪᲘᲡ ᲕᲐᲟᲙᲐᲪᲝᲑᲐᲡ ᲓᲐ ᲒᲛᲘᲠᲝᲑᲘᲡ ᲗᲕᲘᲗ. (ᲡᲐᲥᲘᲜᲤᲝᲠᲛᲘ).



ᲢᲔᲚᲔᲕᲘᲖᲘᲐ

10 მაისი

პირველი პროგრამით

10.05 — ფერადი ტელევიზია— დილის ვარჯიში (გადმოცემა მოსკოვიდან), 10.30 — გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ტელევიზიის კინოპროგრამა. ქ. გორის გიმნაზიათა გუნდისა და თბილისის 39-ე საშუალო სკოლის ქორეოგრაფიული ანსამბლის კონცერტები გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში, 11.15 — მოსწავლეთათვის — ლიტერატურული თეატრი — რეპორტაჟის აღმოჩენა, 11.45 — „მუსიკალური კიოსკი“ (გადმოცემა მოსკოვიდან), 12.15 — „ომი და კინოკომედია“, 13.00 — კონცერტი — შეხვედრა სამამულო ომის მონაწილე მედიკოსებთან, 14.10 — კინონარკვევი, 14.20 — საერთაშორისო პანორამა (გადმოცემა მოსკოვიდან), 14.50 — სატელევიზიო მხატვრული ფილმი „დიადი დაპირისპირება“ — პრემიერა (I და II ხერია), 17.00 — „ᲯᲐᲜᲑᲘᲠᲗᲔᲚᲘ“ (გადმოცემა მოსკოვიდან), 17.30 — მულტფილმები, 18.00 — ფერადი ტელევიზია — „კინომოგზაურობის კლუბი“ (გადმოცემა მოსკოვიდან), 19.00 — თეატრალური შეხვედრები“ (გამეორებით), 21.00 — საინფორმაციო პროგრამა „მოამბე“, 21.30 — სპეციალური კონცერტი „მეგობრების მელოდიები“, 22.00 — „ᲠᲘᲗᲛᲘᲐ“ — საინფორმაციო პროგრამა, 22.30 — ფერადი ტელევიზია — საბჭოთა კავშირის ხალხთა მე-6 სპარტაკიადის გახსნის ტრანსლაცია ვ. ი. ლენინის სახელობის ცენტრალურ სტადიონიდან (გადმოცემა მოსკოვიდან). დასასრული — ახალი ამბები.

მეორე პროგრამით

18.05 — სატელევიზიო დადგმა „მუდამ მარმარი გზაზე“, 19.20 — ტელევიზორში, 19.35 — კონცერტი, 20.15 — მხატვრული ფილმი „ბედი კაცისა“.



ᲠᲐᲓᲘᲝ

11 მაისი

პირველი პროგრამით

06.05 — უკანასკნელი ცნობები, 08.32 — შუბუქი მუსიკის კონცერტი, 09.25 — ა. დვორაკი. მეშვიდე სიმფონია, 10.00 — ცენტრალური გაზეთების უურცლებზე (გადმოცემა მოსკოვიდან), 11.05 — ქართული ხალხური სიმღერები, 11.45 — საუბარი „პარტიისა და ხალხის ერთიანობა“, 12.15 — შ. მიღორავა. სიმღერები, 12.25— „პოეზია უპირველეს ყოვლისა“ — გ. ტაბიძის ლექსები, 12.30 — ᲑᲐᲗᲘᲡ ᲙᲣᲚᲐᲠᲐᲢᲣᲚᲘ ᲙᲝᲚᲝᲛᲘᲢᲠᲘᲐ. ᲔᲠᲗᲘ ᲙᲐᲠᲘᲐᲠᲐ, ᲠᲝᲒᲝᲠᲘᲪ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲯᲐᲠᲘᲡ ᲛᲝᲛᲬᲘᲠᲔᲑᲘᲡ ᲠᲘᲗᲛᲘᲡ ᲓᲐ ᲞᲠᲝᲓᲣᲥᲢᲘᲣᲚᲝᲑᲘᲡ ᲞᲠᲘᲜᲪᲘᲞᲘᲗ ᲐᲠᲘᲡ ᲨᲔᲡᲠᲣᲚᲔᲑᲣᲚᲘ ᲞᲠᲝᲤᲔᲡᲘᲝᲜᲐᲚᲣᲠᲘ ᲛᲣᲡᲘᲙᲐᲡᲗᲐᲜ ᲓᲐᲛᲘᲜᲐᲡᲢᲐᲠᲘ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲐ ᲛᲘᲡᲘ ᲨᲔᲛᲝᲥᲛᲔᲓᲔᲑᲘᲗ ᲓᲐ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲞᲠᲝᲒᲠᲐᲛᲘᲗ ᲛᲝᲛᲖᲐᲓᲓᲔᲑᲐ ᲛᲘᲡᲘ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲞᲠᲝᲒᲠᲐᲛᲐ ᲓᲐ ᲛᲘᲡᲘ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ